"უპირობისთვის ვწყევლით ცრუ სიტყვას და საკრთველოს სახელს ვაგინებთ, დადგება ჟამი, იმის ხელმყოფელს უშრეტის ცეცხლით დავანაწამებთ!"

ნერაგ კოსტავა

სტუდენტური გაზეთი

№ 2, 1989 წლის 10 ნოემბერი

თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტში არსებული ეროვნული მოძრაობის ხელშემწყობი ჯგუფის - სტუდენტური კავშირის არაპერიოდული გაზეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის ჩვენთან არის !

დიდი ხანი არ არის, რაც ჩვენგან წავიდა საოცარი პიროვნება, მერაბ კოსტავა. ბევრი რამის თქმა და დაწერა შეიძლება ამ დიდებულ ადამიანზე, აკი მრავალიც დაიწერა მასზე ოფიციალურ და არაოფიციალურ პრესაში და იმედია, მრავალიც დაიწერება. რაც დრო გავა მით უფრო დაიფასებს მის ღვაწლს შთამომავლობა, მაგრამ ვფიქრობ, სრულად, ამომწურავად მისი პიროვნება და მოღვაწეობა არ გაშუქებულა და მომავალშიც შეუძლებელი იქნება ამის გაკეთება, მიუხედავად ამისა, მეც მინდა ერთი-ორი სიტყვა ვთქვა ამ ჭეშმარიტად ზეადამიანზე.

დალუპვამდე რამდენიმე დღით ადრე შემხვდა იგი. თავისი ჩვეული სითბოთი მოგვიკითხა მე და ჩემი ოჯახის წევრები, შემდეგ მითხრა: " ახლა ერთი პატარა საქმე მაქვს მოსაგვარებელი, მოვაგვარებ, მერე მოვალ თქვენთან და ერთი ჩვენებურად [illegible] საქმის მოგვარება მოასწრო, მაგრამ ჩემთან გამოვლა და ჭიქის აწევა ვერა. ამ ფაქტშიც თითქოს რაღაც სიმბოლური არის, მთელი თავისი ცხოვრება მერაბ კოსტავა ერის სამსახურში იდგა და ძალიან ხშირად ვერ ახერხებდა თავის თავისთვის მიეხედა, თავისი პირადული ცხოვრებით ეცხოვრა.

მერაბ კოსტავა იყო ჩვენი ეროვნული მოძრაობის მედროშე, ჩვენი კერპი, ქართული სინდის - ნამუსი და პატიოსნება. პიროვნება, რომელმაც მრავალი ჭირ-ვარამი გამოიარა, მაგრამ დარჩა ისევთვე ამაყი და ქედუხრელი, როგორც ამირანი და ისევთვე სუფთა და წმინდა, როგორც ახალშობილი ბავშვის ცრემლები. მახსენდება მერაბის ლექსის ნაწყვეტები, რომელიც მან ნოემბრის შიმშილობის დროს წაიკითხა მთავრობის სასახლესთან:

"თუკი ქადაგებ ქვეყნად ჰუმანიზმს
უნდა შეგეძლოს ტანჯვის ატანა,
უნდა აღმოფხვრა შენში მურმანი
გაავებული როგორც სატანა."

საზოგადოების გარკვეულ ნაწილში დადის აზრი, თითქოსდა პოლიტიკა წარმოადგენდეს უზნეობის ეპოგიას და დასაშვები იყოს აკრძალული ხერხების გამოყენება, რამეთუ მიზანი ამართლებს საშუალებას. მერაბ კოსტავას პიროვნება მთელი თავისი ცხოვრებით, დიამეტრიულად საწინააღმდეგოს წარმოადგენს. ის გვასწავლის, რომ რაც არ უნდა ნათელი მიზნის მისაღწევად ვიბრძოლით, აუცილებელია სუფთა ხელები, სუფთა სინდისი და უანგარო თავდადება. მ. კოსტავას მთელი ცხოვრება მკაფიო მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება ბრძოლა ზნეობრივი ხერხებით ეროვნული მიზნების მისაღწევად. პოლემიკის დროს იგი არასდროს ცდილობდა თავისი აზრების თავზე მოხვევას და მას მოწინააღმდეგეში არასდროს არ დაუნახავს მტერი.

მერაბ კოსტავა დღეს ფიზიკურად არ დგას ჩვენს გვერდით, მაგრამ იგი "საფლავიდანაც გვწრთვნის" და მოგვიწოდებს სამშობლოს უანგარო სამსახურისაკენ.

ასე, რომ ის ჩვენთან არის და იქნება მანამ, სანამ იარსებებს ჩვენი მრავალტანჯული ქვეყანა, ღვთისმშობლის წიღხვედრი საქართველო.

უჩა ძიძავა.

ი. ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა პედინსტიტუტის
სტუდენტურთა და პროფესორ-მასწავლებელთა გაერთიანებული კრების

რ ე ზ ო ლ უ ც ი ა

მას შემდეგ, რაც საქართველოში ფართოდ გაიშალა ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობა, რომლის უმთავრესი და უზენაესი მიზანია საქართველოს გამოხსნა რუსეთის ბარბაროსული იმპერიისაგან, მას შემდეგ, რაც კრემლმა კიდევ ერთხელ დაადასტურა თავისი ანტიქართული პოლიტიკა, გაუგონარი სისასტიკით დაარბია 9 აპრილის მშვიდობიანი აქცია და კვლავ გამოავლინა თავისი დამპყრობლური სული, მას შემდეგ, რაც საქართველოში მოსკოვის მიერ პროვინცირებულ იქნა ეთნიკური მღელვარებანი, რასაც შეიძლებოდა მოჰყოლოდა ჯერ არნახული სისხლისღვრა, ქართველმა ერმა კიდევ უფრო მეტი შემართებითა და პოლიტიკური სიბრძნით გააგრძელა ის უკომპრომისო ბრძოლა, რამაც ჩვენი ერი უნდა მიიყვანოს იმ ერთიანობამდე, რასაც ჰქვია საყოველთაო ეროვნული დაუმორჩილებლობა.

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის, წმინდა ილია მართლის საზოგადოებისა და ჰელსინკის ჯგუფის ინიციატივით 1989 წლის 29 ოქტომბერს თბილისში მთავრობის სასახლესთან დაწყებულ აქციას მხარი დაუჭირა ყველა ოპოზიციურმა ეროვნულმა პოლიტიკურმა ძალამ და მთელმა ქართველმა ერმა. აქციის ერთ-ერთ მთავარ მოთხოვნად წამოყენებული იქნა საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დემოკრატიული სახელმწიფოების სპეციალური მისიებისა და დელეგაციების ჩამოსვლა საქართველოში საქართველოს სახელმწიფოებრივი და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხის განსახილველად. საქართველოს ეროვნული ხსნის მთავარმა კომიტეტმა საქართველოს ხელისუფლების წინაშე დასვა საკითხი, რათა ეროვნული ხსნის მთავარი კომიტეტის სახელით ჩატარდეს საყოველთაო ეროვნული რეფერენდუმი- უმერს თუ არა მხარს ქართველი ერი წამოყენებულ მოთხოვნას.

საქართველოს ხელისუფლება ვალდებულია ქართველ ერს მისცეს იმის საშუალება, რომ მან თვითონ გადაწყვიტოს მის წინაშე მდგარი ყველა პრობლემა.

ოფიციალური ხელისუფლების მხრიდან ეროვნული რეფერენდუმის ჩატარებაში ხელის შეშლისა და მის წინააღმდეგ გაღაშქრების შემთხვევაში, საქართველოს ეროვნული ხსნის მთავარი კომიტეტი მიმართავს სხვადასხვა მასობრივ აქციებს მანამ, სანამ დამაკმაყოფილებელი არ იქნება ქართველი ერის მოთხოვნები.

ჩვენ, უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები მხარს ვუჭერთ მიმდინარე აქციას და ვაცხადებთ:

1. იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფალთა მიერ, მთავრობის სასახლესთან მიმდინარე აქცია დარბეული იქნება;

2. იმ შემთხვევაში, თუკი არ დაკმაყოფილდება საქართველოს ეროვნული ხსნის მთავარი კომიტეტის ზემოთ მოყვანილი მოთხოვნა, მაშინ ჩვენ იძულებულნი ვიქნებით შევმართოთ საპროტესტო ფორმას - გაფიცვას.

1989 წლის 3 ნოემბერი

უცხო ენათა ინსტიტუტის ეროვნული მოძრაობის
ხელშემწყობი ჯგუფის - სტუდენტური კავშირის

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ამიერიდან ეროვნული მოძრაობის ხელშემწყობი ჯგუფი - სტუდენტური კავშირი ამტკიცებს და ოფიციალურად აფორმებს თავის თავს, როგორც ინსტიტუტში მოქმედ სრულუფლებიან და ოპოზიციურ ორგანიზაციას, რომელიც არის განუყოფელი ნაწილი იმ ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობისა, რომელსაც დღეს აწარმოებს ქართველი ერი, მისი პოლიტიკური ძალები.

ხელშემწყობი ჯგუფის - სტუდენტური კავშირის ბრძოლისა და მოღვაწეობის მასშტაბები დამოკიდებული იქნება მისი რიგების თანდათანობით გაძლიერებაზე. სტუდენტური კავშირი შეძლებისდაგვარად ეცდება, რათა მისი მოქმედების არეალში ხელი შეუწყოს ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობას.

ხელშემწყობ ჯგუფს - სტუდენტურ კავშირს უპირველეს ამოცანად მიაჩნია თავისი მუშაობა წარმართოს იმ სიტუაციიდან გამომდინარე, რაც დღეს არის საქართველოში. აგრეთვე მიაღწიოს პოლიტიკურ-ინტელექტუალური დონის ამაღლებას, როგორც მის რიგებში მყოფ სტუდენტებში, ასევე მთელს ინსტიტუტში.

ხელშემწყობი ჯგუფი- სტუდენტური კავშირი თვლის, რომ დღევანდელი მდგომარეობა ჩვენი სამშობლოსი, არ უნდა გვაძლევდეს თვითდამშვიდების და მაყურებლის როლში ყოფნის უფლებას, რაც არათუ თავის მოტყუება და თავის არიდებაა ყოველივე იმაზე, რაც დღეს ხდება, არამედ არის პასიური ღალატი ერისა.

ჩვენი ორგანიზაცია არის სტუდენტური ორგანიზაცია და ის გამოდის ქართველი სტუდენტების შეკავშირების, ერთიანი ძალებით საქართველოს თავისუფლებისათვის თავდადებული ბრძოლის აუცილებლობის პრინციპებიდან.

საქართველოში სტუდენტური მოძრაობა რისხვად მოევლინა ოფიციალურ ხელისუფლებას და დღეს მისი შეჩერება შეუძლებელია. ის არის ერთ-ერთი წამყვანი ძალა ეროვნული მოძრაობისა, მასზე არის დამოკიდებული ძლიერება იმ ოპოზიციური ძალებისა, რომლებიც დღეს გვევლინებიან ეროვნული მოძრაობის ავანგარდად.

ეროვნული მოძრაობის ერთადერთ და უპირველეს ზნეობრივ-მორალურ ბაზისს წარმოადგენს ქრისტიანული რელიგია, ამიტომაც ყოველი ქართველი უნდა იყოს ნამდვილი ქრისტიანი, ქრისტიანული მრწამსით აღსავსე პიროვნება და შორს იდგეს იმ უზნეო იდეოლოგიიდან, რომელსაც ქადაგებს კომუნისტური-ეს ანტიქრისტიანული იდეოლოგია, და დღეს სტუდენტურმა მოძრაობამ - საქართველოს თავისუფლებისათვის მებრძოლმა არმიამ, უნდა შეასრულოს მძიმე, მაგრამ მეტად საპირო მისია- ერთხელ და სამუდამოდ ააღორძინოს ჩვენი სამშობლოს დიდების ტაძარი - რომელსაც საფუძვლად დაედება მხოლოდ და მხოლოდ ქრისტიანული მრწამსი და მორალი.

საქართველოში მიმდინარე უმნიშვნელოვანესი პროცესები, რომლებიც განაპირობებენ ჩვენი სამშობლოს ხვალინდელ დღეს - მის გამოხსნას ანტიკაცობრიული რუსეთის იმპერიისაგან - გვკარნახობს ჩვენ, გამოვიჩინოთ თავგანწირვა, დავდგეთ ეროვნული დროშის ქვეშ და ვიღვაწოთ ჩვენი ერის საკეთილდღეოდ!

გაუმარჯოს ერთიან, დამოუკიდებელ, ქრისტიანულ,
დემოკრატიულ საქართველოს!

ჩვენთან არს ღმერთი!

უცხო ენათა ინსტიტუტის ეროვნული მოძრაობის ხელშემწყობი ჯგუფი:

ბეჟან ენუქიძე
ლევან რამიშვილი
გიორგი კაღანდაძე
უჩა წიწონავა
გიორგი ლინდაძე
ბაღრი ფარულავა
უჩა ძიძავა

არ გათეთრდების ყორანი...

უცხო ენათა ინსტიტუტის პარტიულმა კომიტეტმა კვლავ "ისახელა" თავი და დაადასტურა თავისი შეურიგებლობა ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობისადმი.

7 და 8 ნოემბერს ორი უზარმაზარი წითელი დროშა იქნა გადმოკიდებული ინსტიტუტის შენობაზე.

ასე ებღაუჭება ინსტიტუტის პარტიული ელიტა დროშას, რომელიც საქართველოს დამონებული და დაკაბალებული მდგომარეობის გამომხატველია.

და აქედან გამომდინარე, გვევლინება მიკრო-მარიონეტულ ხელისუფლებად.

• • •

გაზეთი პირველ ნომერში, სტატიაში "უცხო ენათა ინსტიტუტი და ეროვნული მოძრაობა ", გაიპარა ფაქტობრივი შეცდომა. სუკ-ის სკოლა 1948 წელს არ გადაკეთებულა უცხო ენათა სასწავლებლად. ხსენებული სასწავლებელი დაარსდა ამავე წელს, მაგრამ სხვა ადგილას (ფალიაშვილის ქუჩაზე). ამ შენობაში კი გადმოვიდა 60-იანი წლების დასაწყისში. ეს სულაც არ ცვლის სტატიაში გატარებულ აზრს, რადგან, კიდევ ერთხელ ვიმეორებთ, რომ ტრადიცია არ დარღვეულა, კვლავ გრძელდება მათი (სუკ-ელების) "ნაღლობა".

რა თქმა უნდა, ბოლო განცხადება ყველაზე არ ვრცელდება.

• • •

გაცნობებთ, რომ უჩა ძიძავა, რომელიც გაირიცხა ინსტიტუტიდან ხელოვნურად შექმნილი მიზეზების გამო, აღდგენილია საღამოს განყოფილების III კურსზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ სათაურით საგაზეთო წერილის დაწერა დიდი ხნის წინ გადავწყვიტე, როდესაც სიტყვა ნაციონალიზმის მხოლოდ ხსენებაც კი [illegible] თითქმის სისხლის სამართლის დანაშაულის ტოლფასად აღიქმებოდა (თუმცა "გარდაქმნა უკვე დაწყებული იყო.) საუკუნის დასაწყისში ამუშავებული იდეოლოგიური მანქანა მთელს სიმძლავრეზე იყო ჩართული და ოფიციალურ პრესაში ამ საკითხზე ჩემი აზრის გამოქვეყნება ფიზიკურად შეუძლებელი გახდათ. ამიტომ არ მოვიყვანე სისრულეში ჩემი სურვილი მაშინ. არადა, საჭირო იყო, ვფიქრობ, ახლაც საჭიროა, რადგან, თუმცა ქართული ეროვნული თვითშეგნება საგრძნობლად ამაღლდა, ხსენებული იდეოლოგიური მანქანა ჯერ კიდევ გაცხოველებულად მუშაობს და გულუხვად გვაყრის ფრთაასხმულ ფრაზებს: "ჩვენ ინტერნაციონალისტები ვართ! "ძირს, ნაციონალისტური გამოხდომები!" " არ დავუშვებთ ჩვენს ინტერნაციონალურ, მრავალ-ეროვან ქვეყანაში ნაციონალისტურ გამოხდომებს!". ამიტომ ბევრი ქართველის შეგნებაში ნაციონალიზმი ჯერ კიდევ რაღაც საშინელს და ყოვლად მიუღებელ ცნებას აღნიშნავს. თუმცა რიგით მოქალაქეს რას ვერჩით, როცა თვით დღევანდელი ქართული ინტელიგენციის მრავალი წარმომადგენელი გვიხიხავს საკავშირო თუ რესპუბლიკურ ტრიბუნაზე, სამშობლოს სიყვარულით გულანთებული რომ უმტკიცებდა მავანთ და მავანთ, - " ქართველები არა ვართ ნაციონალისტები, ჩვენ ყველა გვიყვარს და მართლა ინტერნაციონალისტები ვართო". და ვერ ხვდებოდა, რომ ამით თვით შეურაცხოფდა უნებლიეთ საქართველოს ღირსებას. ამის შესანიშნავ მაგალითად ვინმე ბაითმელი ლევანის გახმაურებული ამბავი და პროგრამა "ვზგლიადით" რ.აბაშეკელისა და გ.ლორთქიფანიძის გამოსვლაც კმარა.

არადა, რა არის ნაციონალისტობაში ისეთი სამარცხვინო, ადამიანებმა ერთმანეთს რომ დავწამოთ, როგორც დანაშაული, ხოლო "უსამართლოდ ბრალდებულებმა" კი თავგამოდებით უარყოთ იგი.

ჩავიხედოთ უცხო სიტყვათა ლექსიკონში (1964 წლის გამოც. შემდგ. მ.ჭიბაშვილი, გვ.267) ნაციონალიზმი - 1. რეაქციული ბურჟუაზიული იდეოლოგია და პოლიტიკა, რომლის მიზანია ეროვნული შუღლის გაღვივება და ერთი ეროვნების წაკიდება სხვა ეროვნებასთან.

2. მოძრაობა დამონებულ ქვეყნებში დამოუკიდებლობისათვის.

ეს განმარტებანი საოცრად წააგავს საბჭოთა კონსტიტუციას, სადაც ხშირად მომდევნო მუხლი წინამდებარეს უარყოფს და გამორიცხავს. მაინც რას გულისხმობს სიტყვა ნაციონალიზმი, რეაქციულ, ბურჟუაზიულ იდეოლოგიას, რომლის მიზანია ერთა შორის სიძულვილის გაღვივება და მათი ერთმანეთზე წაკიდება (რაც ცუდია), თუ სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას (რაც, არც ისე ცუდი უნდა იყოს) ამის პასუხს ეს ლექსიკონი არ იძლევა. პირიქით, კიდევ უფრო გვაბნევს სიტყვა ნაციონალისტის განმარტებით:

ნაციონალისტ-ი - 1. ნაციონალიზმის (მნიშვ.1) მიმდევარი
2. ნაციონალიზმის (მნიშვ.2) მომხრე,

ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის მონაწილე.

რა უნდა ქნას ადამიანმა, ჩათვალოს თუ არა თავი ნაციონალისტად, თუკი ამ სიტყვას ორი, სრულიად სხვადასხვა მნიშვნელობა ჰქონია და თუ ჩათვლის, რომელ მნიშვნელობას მიანიჭოს უპირატესობა ?! რა თქმა უნდა, ლექსიკონი ამასაც არ განმარტავს. ურიგო არ იქნებოდა ამ ლექსიკონში სიტყვა ინტერნაციონალიზმის განმარტებაც გვენახა: გვ.173 - ინტერნაციონალიზმ-ი პროლეტარიატის საერთაშორისო ერთიანობა და სოლიდარობა კაპიტალიზმის დასამხობად და კომუნიზმის ასაშენებლად (?! - ლ.რ.); ყველა ხალხის თავისუფლებისა და თანასწორობის დაცვა, ბრძოლა შოვინიზმისა და ნაციონალიზმის წინააღმდეგ.

როგორც ვხედავთ აქ თვით ინტერნაციონალიზმის მნიშვნელობაც გაყალბებულია, რადგან თუ ნაციონალიზმი სამშობლოს სიყვარული და მისი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაა მხოლოდ (შემდგომ დავრწმუნდით, რომ ეს ასეა,) მაშინ ინტერნაციონალიზმი, რომელიც ნაციონალიზმის წინააღმდეგ იბრძვის იმპერიალისტური ანუ დამპყრობლური ფსიქოლოგიის ნაყოფი ყოფილა და სხვა არაფერი. ეს კი ასე არაა, რადგან ჭეშმარიტი ინტერნაციონალიზმი სწორედ ნაციონალიზმიდან გამომდინარეობს და არავითარ შემთხვევაში არ უარყოფს, მით უფრო არ ებრძვის მას სულ უბრალო ჭეშმარიტების გამო: თუ არ გიყვარს შენი სამშობლო, ვერც სხვისას შეიყვარებ. თუ არა ხარ ნაციონალისტი, ვერც ჭეშმარიტი ინტერნაციონალისტი გახდები.

გარდა ამისა, ნაციონალიზმის პირველი მნიშვნელობიდან და ინტერნაციონალიზმის ამ განმარტებიდან აშკარად ჩანს, რომ ცნება ნაციონალიზმი შოვინიზმთან არის გაიგივებული. ამაში კიდევ უფრო დავრწმუნდებით, თუ ამავე ლექსიკონში სიტყვა შოვინიზმსაც მოვიძიებთ: შოვინიზმი-უკიდურესი ბურჟუაზიული ნაციონალიზმი. (იხ. ნაციონალიზმი, მნიშვნ.1) სიტყვა შოვინისტი კი განმარტებულია როგორც უკიდურესი ბურჟუაზიული ნაციონალისტი (?!). ერთი სიტყვით, აქ ყველაფერი ბუნდოვანი და გაურკვეველია. როგორც იტყვიან, წყალი ამღვრეულია, რასაც ვერ ვიტყვით არასაბჭოთა ლექსიკონებზე: ნაციონალიზმი-

1. ეროვნული მძლიანობის შეგრძნებაა;
2. პოლიტიკური მოძრაობა ამა თუ იმ ქვეყნის უფლებების დასაცავად და სრული პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად.

ინტერნაციონალიზმი- სახელმწიფოთა თანამშრომლობის პოლიტიკა მათი საერთო კეთილდღეობისათვის (და მეტი არაფერი ღ.რ.) შეად. ნაციონალიზმი (ინგლის.ენის განმარტებითი ლექს. ლონდონი, 1980).

ამერიკული ლექსიკონი კი, რომელიც ოქსფორდის უნივერსიტეტის მიერ არის გამოცემული, ასე განმარტავს ცნება ნაციონალიზმს:

1. პატრიოტული გრძნობები, პრინციპები.
2. მოძრაობა პოლიტიკური (ეკონომიკური, ა.შ.) დამოუკიდებლობისათვის (ქვეყანაში, რომელსაც მართავს სხვა სახელმწიფო).

როგორ შეეფერება საქართველოს ღღევანდელ მდგომარეობას ნაციონალიზმის [illegible] ჭეშმარიტი ცნება, თუ ღღეს რითიმე ვანაყოთ, ეს გაღვიძებული "პატრიოტული გრძნობები და პრინციპებია" და თუ რაიმე პოლიტიკური მოძრაობა ვიმდინარეობს ჩვენში, ეს ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობაა, რომელიც იბრძვის "პოლიტიკური (ეკონომიკური, ა.შ.) დამოუკიდებლობისათვის (ქვეყანაში, რომელსაც მართავს სხვა სახელმწიფო). თუ ჩვენში მართლა გაიღვიძა რაიმე პატრიოტულმა გრძნობამ, მაშინ ისიც უნდა ჩავიბეჭდოთ თითოეულმა ქართველმა გონებაში, რომ ჩვენ ნაციონალისტები ვართ, დიახ, ჭეშმარიტი ნაციონალისტები, რათა არ უარვყოთ ჩვენივე ეროვნება, პიროვნება და ის ბრძოლა, რომელსაც ღღეს ქართველი ერი აწარმოებს.

ლევან რამიშვილი

ნაციონალიზმისა და ინტერნაციონალიზმის შესახებ

რაც ე.წ. გარდაქმნა დაიწყო, მიზანსწრაფულად ამხილებენ და სამარცხვინო ბოძზე აკრავენ სტალინს, მაგრამ არაფერს ამბობენ მის სულიერ მამასა და მარჩენალზე ლენინზე. ამის მიზეზს ადვილად ჩავხვდებით თუკი გავითვითცნობიერებთ, რომ ღღეს სტალინის კრიტიკა პიროვნების კრიტიკაა მხოლოდ, ხოლო ლენინისა - უკვე თვით არსებული პოლიტიკურ-იდეოლოგიურ-ეკონომიკური სისტემისა, რადგან იგი ჯერჯერობით ისევ მარქსიზმ-ლენინიზმის "მოძღვრებაზეა" აგებული და სიტყვა ლენინი ღღეს მისი საყრდენი.

ჩვენ შევეცდებით ჩვენი გაზეთის ფურცლებზე ვამხილოთ "მსოფლიო რევოლუციის დიადი ბელადი", ტერორისტი და სატანის მოციქული, და ეს გავაკეთოთ მხოლოდ და მხოლოდ მისი სიტყვებით, ყოველგვარი კომენტარის გარეშე, რუბრიკით -"კოკასა შინა რცა დგას, იგივე წარმო დინდების".

I. "Надо уметь... пойти на всякие уловки, хитрости нелегальные приемы, умолчания, сокрытие правды, лишь бы вести ... Во что бы то ни стало коммунистическую "работу"
(апрель 1920 г. Детская болезнь "левизны" в коммунизме. ППС, 5 изд., т.41, стр.38)

2. "Диктатура есть власть, опирающаяся непосредственно на насилие, не связанная никакими законами.
Революционная диктатура пролетариата есть власть, завоеванная и поддерживаемая насилием пролетариата над буржуазией, не связанная никакими законами". (ноябрь 1918г. Пролетарская революция и Ренегат Каутский т.37, стр.245)

3. "Я рассуждаю трезво и категорически : что лучше посадить в тюрьму несколько десятков или сотен подстрекателей, виновных или не виновных, сознательных или несознательных, или потерять тысячи красноармейцев и рабочих? - Первое лучше. И пусть меня обвиняют в каких угодно смертных грехах и нарушениях свободы- я признаю себя виновным , а интересы рабочих выигрывают".
(1104.1919г. Заключительное слово на Пленуме ВЦСПС, т.38, с.295)

4. СТАЛИНУ : "У нас заложниками сотни левых эсеров. Повсюду необходимо подавить беспощадно этих жалких и истеричных авантюристов, ставших орудием в руках контрреволюционеров". (07.07.1918г, т.50, стр.114)

5. ФЁДОРОВУ : "В Нижнем явно готовится белогвардейское восстание. Надо напрячь все силы, составить тройку диктаторов, навести тотчас массовый террор, расстрелять и вывести сотни проституток, спаивающих солдат, бывших офицеров и т.п.... Надо действовать вовсю: массовые обыски, расстрелы за хранение оружия, массовый вывоз меньшевиков и ненадежных" . (09.08.1918г. т.50, стр.142)

მასალები აღებულია ДС (დემოკრატიული კავშირის) 1989 წლის ივლისის ბიულეტენიდან.

ნიკოლოზ სამხარაძე

უხუცესი დისიტენტი, დაიბადა 1915 წლის 15 მარტს. 1939 წელს ამთავრებს ქუთაისის პედინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტს, შემდეგ ასპირანტურას.

1941 წელს შედის თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში, რომელსაც ამთავრებს 1946 წელს.

თავისი პოლიტიკური მოღვაწეობისათვის მან დიდი რეპრესიები განიცადა. ბევრჯერ დაითხოვეს სამსახურიდან და წლების განმავლობაში უმუშევრად იმყოფებოდა. 1937-1938 წლებში და 1958 წელს (ორი წელი) იგი პატიმრობაში იმყოფებოდა. 1980 წელს მას კვლავ აპატიმრებენ და გადაპყავთ დნეპროპეტროვსკის სპეც. ფსიქიატრიულ საავადმყოფოში 4 წლით. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ნათელყოფს ფსიქიატრიის ბოროტად გამოყენებას დისიტენტების მიმართ.

ამჟამად ნ.სამხარაძე მუშაობს ექიმად თბილისის ერთ-ერთ პოლიკლინიკაში.

ლენინს

სული სკვითი ხარ, ტომი მონაღი,
ჩინგის ყაენის შთამომავალი,
ულვთო, ბოროტი, დაუნდობელი,
ენით ბუღბული, საქმით მტარვალი.

შენ დაგბრუნე უკულმა ჩარხი,
პროგრესის ნიღბით ბნელეთს შეგვყარე,
თავისუფლების ცრუ ლოზუნგებით
თავისუფლება დაასამარე.

ხარ თვალთმაქცი და ტყუილის გუდა,
ყალბი ფრაზების ქვეყნად მფრქვეველი
მით წამოსკუპდი ქრისტეს ადგილზე
კაცი-იუდა ფარისეველი.

ჩაგვრა შენილზე, გაიათკეცე,
ხალხი მთავრობის მონად აქციე,
ფუძე-მამული, ოჯახი წმინდა
მოშალე, მოსპე და დააქციე.

არსებობის გზა ყველას წაართვი,
წყალი, პაერიც არ დაუტოვე,
ხალხი დაფრგუნე, დაამონავე,
ძალა-უფლება მით მოიპოვე.

შენ თქვი: "მიეცით ხალხს ლოზუნგები
კოტას მკინც ხომ დაიჯერებენ
ბრიყვი დატოვეთ, ჭკვიანი მოსპეთ
თუკი შავს თეთრად არ იჯერებენ".

ხალხის სახელით ურცხვად ვაჭრობდი
ხალხს ხალხის ხელით ასამარებდი.
ვინც დიქტატურას აღუდგა მედგრად
სპობდი და ურცხვად აცინმბირებდი.

რისი კანონი, რის უფლებები,
ყალბი ფრაზებით რატომ გვაპურებ,
რის არჩევნები, რა არჩევნები,
სატანის დარო რას გვაპამპულებ.

რუსის ჩექმის ქვეშ დაფრგუნე ერები
ყველა,
სიტყვით სხვას ამბობ, საქმით ყველას
მოუსპე ენა,

შენ ერებს ხარშავ რუსულ ქვაბში, იცავ
მონობას,
თან თაღლითურად გაიძახი თანასწორობას.

უუფლებობას, შიმშილობას მქუხარე ტაში,
ვინც ამას არ იქმს, აგზავნიან ციმბირში
მარშით.

პარტია ამბობს: "ეს არისო სწორუპოვარი,
ოქტომბრის დროშით მიღწეული მონაპოვარი."
ძირს, ანტიქრისტევ, ბოროტთა ღმერთო,
კაცთ საწამებლად დაბადებულო,
ყველა მპყრობელზე უარესო დიდო
მპყრობელო,

წყეულიმც იყავ თვით სატანას
წარმოგზავნილო!

ნიკოლოზ სამხარაძე
1977 წელი

• • •

ს.ესენინი

ხეპრე სინაზით თვრება,
საფუთ კაცს ახრჩობს დარდი,
მე არაფერი არ მსურს
არც მეცოდება არვინ.
მხოლოდ, საკუთარ თავის
და ქუჩის ძაღლის გარდა.
ამ ჩემს პირდაპირ გზასა,
მივყევარ ღუქნის კართან.
ქვეყანა უღვთო, რწმენის გარეშე,
ქვეყანა დიდი ჩინოვნიკების,
კანონიერი ძარცვის ქვეყანა
აი ქვეყანა ბოლშევიკების.

თარგმნა უჩა ბიბავამ

ნოპერი მოამზადეს:
ლევან რამიშვილმა, ბადრი ფაოლავამ,
ზეჯან ენუქიძემ, გიორგი კაკანდაძემ.